საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება

ქ. თბილისი

N 2270-02
03/08/2018

„ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ენის მასწავლებლის თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ რექტორის 2018 წლის 25 ივლისის N2076-02 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

”უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N134/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-18 მუხლის 1-ლი და მე-9 პუნქტების, მე-6 პუნქტის, საქართველოს შრომის კოდექსის მე-12 მუხლის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის საფუძველზე, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის დეკანის, გიორგი გვალიას 2018 წლის 2 აგვისტოს N13547-35 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2018 წლის 25 ივლისის N2076-02 ბრძანების „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ენის მასწავლებლის თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ მესამე პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტში და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„ზ) ინგლისური ენის ცოდნა მინიმუმ B2 დონეზე, რაც სასურველია დასტურდებოდეს ვალიდური სერტიფიკატით, მაგალითად, CAE/BEC Higher; FCE/BEC Vantage; ILEC; IELTS; TOEFL; "
2. შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2018 წლის 25 ივლისის N2076-02 ბრძანების „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ენის მასწავლებლის თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ მესამე პუნქტში და მესამე პუნქტს დაემატოს „კ“ ქვეპუნქტი შემდეგი რედაქციით:
„კ) თანამედროვე, კომუნიკაციური სწავლების მეთოდების ცოდნა და მათი გამოყენების უნარი (ტრენინგ-კურსი/ები ინგლისური ენის სწავლების თანამედროვე მეთოდებში, რაც სასურველია დასტურდებოდეს სათანადო სერტიფიკატით“.
3. შეტანილ იქნას ცვლილება რექტორის 2018 წლის 25 ივლისის N2076-02 ბრძანების „ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ინგლისური ენის მასწავლებლის თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების შესახებ“ მეოთხე პუნქტში და მეოთხე პუნქტიდან ამოღებულ იქნას „გ“ და „დ“ ქვეპუნქტები.
4.უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურსა და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს დაევალოს ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.

5. ადამიანური რესურსების მართვის სამსახურს დაევალოს ინფორმაცია განათავსოს ვებ გვერდ jobs.ge-ზე.
6.კანცელარიას დაევალოს ბრძანების გაცნობა შემდეგი სტრუქტურებისათვის: მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი, ადამიანური რესურსების მართვის სამსახური, საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახური და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახური.

გიგა ზედანია

რექტორი